ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ირაკლი ჩხაიძის 2016 წელში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტი მავალდებულებს წარმოგიდგინოთ ანგარიში, 2016 წელს, ჩემს მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ.

2016 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მონაწილეობა მაქვს მიღებული საკრებულოს 22 სხდომაში, რომელთა მიმდინარეობისას მიღებული იქნა 73 განკარგულება, დამტკიცდა 28 დადგენილება.

აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას სამანდატო, საპროცედურო, იურდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომებში, სულ ჩატარდა კომისიის 7 სხდომა.

წინასწარ განსაზღვრული გრაფიკის შესაბამისად ყოველთვიურად ვმართავდი შეხვედრებს ამომრჩევლებთან და მოქალაქეთა მიღებას, რა დროსაც გამოიკვეთა სხვადასხვა პრობლემატური საკითხები.

მე, როგორც საკრებულოს წევრმა და ამ სოფლის მაჟორიტარმა შესაბამის სამსახურებთან კოორდინირებულად შევძელი რიგი პრობლემების მოგვარება.

კერძოდ 2016 წელს :

- მოქალაქეთა მედიკამენტებით უზრუნველყოფის პროგრამიდან დაფინანსდა ერთჯერადად 47 მოქალაქე;
- ლეიკემია-ონკოლოგია დაავადების მქონე 2 ადამიანს გაეწია დახმარება;
- უსინათლოთა პროგრამიდან დაფინანსდა 6 მოქალაქე;
- გამგებლის სარეზერვო ფონდიდან სხვადასხვა სამედიცინო მიმართულებით 39 ადამიანს გაეწია დახმარება;

სოფელ ოზურგეთში ინფრასტრუქტურის კუთხით მასშტაბური პროექტები განხორციელდა.

კონკრეტულად:

-აშენდა ევროსანდარტების შესაბამისი საბავშვო ბაღი, ღირებულება - 390 000 ლარი;

- მოსფალტდა სოფელ ოზურგეთი-გურიანთის დამაკავშირებელი გზის 800 მეტრიანი მონაკვეთი, ღირებულება - 350 000 ლარი;

ასევე მოსახლეობასთან შეთანხმებით და დაკვეთით დაიხარჯა სოფლის პროგრამით გამოყოფილი თანხა, რომელიც შეადგენდა დაახლოებით 35000 ლარს.

სოფლის მხარდამჭერი პროგრამით სოფელში განხორციელდა:

- სოფლის რამდენიმე უბანში მოწესრიგდა სანიაღვრე არხები და მილხიდები;
- შემოიღობა სოფლის სასაფლაო კაპიტალურად;
- რეაბილიტირდა სოფლის ამბულატორია;

რა თქმა უნდა სოფელში კიდევ ბევრი პრობლემა რჩება მოსაგვარებელი. ჩვენ ეტაპობივად ვახერხებთ მათ დაძლევას, პრიორიტეტების შესაბამისად. სოფელ ოზურგეთში სამომავლოდ წყლის სისტემის რეაბილიტაციაც იგეგმება, რაც საკმაოდ ძვირადღირებული პროექტია. არსაკმარისი რაოდენობისაა სანაგვე ურნები. საკრებულომ უკვე მიიღო გაკარგულება, რომლის შესაბამისადაც მუნიციპალიტეტი იღებს სესხს და გრანტს, რომელიც სრულიად მოხმარდება სანაგვე კონტეინერების შეძენას. ეს კი საშუალება მოგვცემს, სოფელ ოზურგეთშიც დამატებით განვათავსოთ ურნები.

მიმაჩნია, რომ სწორად შერჩეული პრიორიტეტები და ამ მიმართულებით წარმართული საქმიანობა, არის შედეგზე ორიენტირებული. მართლაც, რომ 2017 წლის ბიუჯეტში პრიორიტეტები სწორად განისზღვრა და მე, როგორც როგორც საკრებულოს წევრი აქტიურად ვმონაწილეობდი მუნიციპალიტეტის მთავარი საფინანსო დოკუმენტის ფორმირების პროცესში. საკრებულომ N1 პრიორიტეტად, მხარი დაუჭირა ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობას, N2 პრიორიტეტად განისაზღვრა განათლება, შემდეგ კულტურა და სოციალური საკითხები. აღსანიშნავია ისიც, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სინამდვილეში პირველად, ბიუჯეტი პროგრამულ ჭრილში იქნა წარმოდგენილი, რაც მთავარ საფინანსო დოკუმენტს უფრო ეფექტურს და გამჭვირვალეს ხდის. გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულებაა, ჩემი საქმინობის ერთ-ერთი მთავრი პრინციპიც.

ჩემო თანასოფლელებო ერთი რამ მინდა იცოდეთ, შეიძლება კიდევ ბევრი პრობლემა გვრჩება მოსაგვარებელი, ბევრი ადამიანი კიდევ ითხოვს ჩვენგან დახმარებას და შველას, მაგრამ ერთი რამ იცოდეთ და გჯეროდეთ: მე სანამ წარმოვადგენ თქვენს ხმას მუნიციპალიტეტის საკრებულოში, არასოდეს გავექცევი პასუხიმგებლობას და ვალდებულებას.

ვიმედოვნებ, სამომავლოდ კიდევ უფრო მეტ გაკეთებულ საქმეზე ვისაუბრებ.

ირაკლი ჩხაიძე: